სალომე ჩიკვილაძე,

გალათის უნივერსიტეტი, რუმინეთი

20–24 აპრილს, Erasmus+-ის აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ლექტორი, სალომე ჩიკვილაძე იმყოფებოდა გალათის უნივერსიტეტში (Dunarea de Jos University of Galati), რუმინეთში.

პროგრამა მოიცავდა როგორც სალექციო კურსის ჩატარებას, ასევე სამუშაო შეხვედრებს ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენელს შესაძლებლობა ჰქონდა დეტალურად გასცნობოდა მასპინძელი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესს.

შეხვედრების მიზანი იყო გამოცდილებისა და აკადემიური პრაქტიკის გაზიარება, ასევე თანამშრომლობის გაღრმავება.

ვიზიტის განმავლობაში ლექტორმა ჩაატარა ლექციები და აქტიურად ჩაერთო სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრებში, სადაც საკუთარი პროფესიული გამოცდილება გააზიარა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და სტრატეგიებს.